

საკუთრო კვეთით მიმდინარე მშობიარობათა

ზრდის პრობლემის შესწავლა

გურანდა გიორგაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნეს  
სკოლაში ჯანდაცვის მენეჯმენტში ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად.

ჯანდაცვის პოლიტიკისა და მენეჯმენტის პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თენგიზ ვერულავა, მედიცინის აკადემიური დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015 წ

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გურანდა გიორგაძე

თარიღი

ხელმოწერა

## აბსტრაქტი

მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში, ბოლო ათწლეულებია შეინიშნება, საკეისრო კვეთით მიმდინარე მშობიარობათა რიცხვის ყოველწლიური ზრდა. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ დაუშვებელია იმ ქვეყნების გამართლება რომლებშიც, საკეისრო კვეთის პროცენტული მაჩვენებელი, მშობიარობათა საერთო რაოდენობის 15%-ს აღემატება. საქართველოში საკეისრო კვეთის სიხშირე 37.3%-ს შეადგენს. კვლევის მიზანია იმ ფაქტორების გამოვლენა და შესწავლა, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში საკეისრო კვეთების მაღალ მაჩვენებელთან ასოცირდება. მიზეზების დასადგენად, თბილისის სამშობიარო სახლებში განხორციელდა კვლევა.

კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველია საკეისრო კვეთების შესახებ არსებული ქართული და უცხოური ლიტერატურა, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სტატისტიკური მონაცემები, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციები. კვლევაში ჩასართავად შეირჩა ის სამედიცინო დაწესებულებები, რომლებშიც ფიქსირდება ორსულთა მაღალი მიმართვიანობა და ოფიციალური სტატისტიკით აღინიშნება საკეისრო კვეთების მაღალი მაჩვენებელი. სტრუქტურირებული კითხვარის საშუალებით გამოიკითხა მეან-გინეკოლოგები და მელოგინე ქალები; განხორციელდა ჯანდაცვის ექსპერტების ჩაღრმავებითი ინტერვიუება.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ საკეისრო კვეთების მაღალი მაჩვენებელი რამდენიმე ფაქტორით არის განპირობებული, მათ შორის აღსანიშნავია, სახელმწიფოს ლიბერალური მიდგომა, ქვეყანაში არ არსებობს კონტროლის მექანიზმები, არ ხდება სამედიცინო დაწესებულებების მონიტორინგი. მელოგინეთა აბსოლუტური უმრავლესობა მიიჩნევს რომ საკეისრო კვეთა არის უსაფრთხო პროცედურა, რაც იმით აიხსნება რომ ქალებს საკეისრო კვეთების რისკებისა და გართულებების შესახებ სათანადო ინფორმაცია არ მიეწოდებათ. გამოკითხულ მეანებს მიაჩნიათ რომ საჭიროა ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლება მშობიარობის კონსერვატიული მართვის თვალსაზრისით.

ჩატარებული კვლევის შედეგები დამუშავდა პრობლემის ირგვლივ რეკომენდაციების მომზადების მიზნით.

ძირითადი საძიებო სიტყვები: საკეისრო კვეთა , მაღალი მაჩვენებელი, ჯანდაცვა, სამედიცინო დაწესებულება.

## **ABSTRACT**

The annual growth of the number of cesarean deliveries has been observed in most of the countries. World Health Organization (**WHO**) considers there is no justification for the countries, having more than 15% of caesarean section of the total number of child births. In Georgia, the caesarean section prevalence rate is 37.3%.

The aim of the survey is to identify and study the factors, associated with the high indicator of cesarean section in our country. To define the reasons, the study was conducted in Tbilisi maternity houses.

The methodological background of the survey is Georgian and foreign literature on cesarean section, the statistical data from the National Center for Disease Control and Public Health, WHO recommendations. Healthcare institutions with high referral of women in labor and officially registered high rate of cesarean section have been selected for participation in the survey. The structured questioner has been used for interviewing of the obstetricians and women in labor. In-depth interview of the health care field experts has been conducted.

The survey showed that the high rate of cesarean section is determined by the number of factors and among them the liberal approach of the State should be noted. The country has no mechanism to control the situation and no monitoring of medical institutions is carried out. Cesarean section is considered to be safe procedure by absolute majority of women in labor that can be explained by the lack of information on risks and complications of this operation among women. The obstetricians interviewed during the survey believe that the enhancement of the physicians' qualification is needed in terms of childbirth conservative management.

The results of the conducted survey have been processed for development of the recommendations related to the problem.

**Kay Words: Cesarean section. Healthcare, High indicator, Medical institution.**

## მადლობა

გაწეული დახმარებისათვის მადლობას ვუხდით სამაგისტრო თემის ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამის „ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი-ის, ჯანდაცვისა და დაზღვევის სკოლის დირექტორს, პროფესორ თენგიზ ვერულავას.

მადლობას ვუხდით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტის, ჯანდაცვის პოლიტიკისა და მენეჯმენტის პროგრამის დოქტორანტს, თამარ კურტანიძეს სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში, კვლევის პროტოკოლისა და მეთოდოლოგიის შემუშავებისას გაწეული დახმარებისათვის.

მადლობას ვუხდით კვლევაში მონაწილე ყველა რესპოდენტს, კომისიის წევრებსა და პედაგოგებს.